სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2020 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

სააგენტოს ძირითადი ფუნქციები

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემა;
- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით დადგენილი წესითა და კომპეტენციის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება; მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება;
- სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემა;
- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილში მითითებულ ობიექტებზე პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების განხორციელება, ამავე კოდექსის აღნიშნული მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ობიექტების ტექნიკური ინსპექტირების განხორციელება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ოქმების დოკუმენტური კონტროლის განხორციელება ტექნიკური ინსპექტირების ოქმებისა და საინსპექციო ორგანოების ანგარიშების ანალიზის მეშვეობით;
- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევებში დამრღვევი პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება;
- მითითებების გაცემა ან/და გონივრული ვადის განსაზღვრა შეუსაბამობის გამოსწორებისათვის;
- უწყებრივ რეესტრში ობიექტების რეგისტრაციის წარმოება;
- ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების შემუშავება მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში;
- პერსონალის გადამზადება, სწავლება, ამ მიზნით ტრენინგებისა და კურსების ჩატარება.
- კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო



სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

სააგენტოს ჩართულობა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის ღონისძიებებში

სააგენტოს თანამშრომლები, პანდემიის პირველივე დღიდან 24 საათიან რეჟიმში, დაუღალავად ჩართულები იყვნენ ახალი კორონავირუსის (Covid-19) გავრცელების საპრევენციო ღონისძიებებში:

- სააგენტოში ჩამოყალიბებული ანალიტიკური ჯგუფები განიხილავდნენ საქართველოს მასშტაბით სამშენებლო საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებულ განაცხადებს და შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად გასცემდნენ რეკომენდაციებს საკოორდინაციო საბჭოსთვის.

- შეიქმნა ინსპექტირების საკოორდინაციო და ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფები. დაიწყო ეკონომიკური ოპერატორების ინსპექტირება, რაც ხელს უწყობდა ეკონომიკური ოპერატორებისთვის საქმიანობის გაგრძელების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების დანერგვას.

- დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერის მიზნით, შეიქმნა საკომუნიკაციო ჯგუფი, რომელიც კვირაში 7 დღის განმავლობაში, უქმე დღეებში დასვენების გარეშე, უკავშირდება კოვიდ-ინფიცირებულებს, იკვლევს მათ გადაუდებელ საჭიროებებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, ხოლო, მიღებულ ინფორმაციას გადასცემს ცენტრალურ აპარატს, დაუყოვნებლივი რეაგირებისათვის.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

სააგენტოს სტატისტიკა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის ღონისძიებებში

- ✓ სააგენტოში შექმნილმა ანალიტიკურმა ჯგუფმა შეისწავლა და პრიორიტეტების მიხედვით დაახარისხა 3000-ზე მეტი საქმიანობის გაგრძელების მოთხოვნის განაცხადი;
- ✓ ინსპექტირების ჯგუფებმა შეამოწმეს 1203-ზე მეტი სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი;



სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვებისა და ზედამხედველობის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები

- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემა (I, II, III სტადიები), მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა და მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება.

- დარღვევის არსებობის შემთხვევაში, კანონმდებლობის შესაბამისად მითითების, შემოწმების აქტის მომზადება, დადგენილ შემთხვევებში ჯარიმის დაკისრება და ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების დადგენილ ვადაში აღმოფხვრის კონტროლი; ჯარიმის გადახდის კონტროლი;

- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციების გაწევა;

- ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე სათანადო დასკვნების მომზადება;

- მონაწილეობა დარგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სრულყოფაში

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვებისა და ზედამხედველობის სამმართველოს სტატისტიკა

- სამმართველოში მიმდინარეობდა **320-ზე** მეტი ადმინისტარციული საქმისწარმოება;
- მშენებლობის ახალი ნებართვა გაიცა **92** ობიექტზე, მათ შორის, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე;
- **50-ზე** მეტ ობიექტზე განხორციელდა შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება/კორექტირება და გაიცა შესაბამისი ნებართვა.
- განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელმა შეადგინა **510 889** ლარი
- ინსპექტირების შედეგად **100-ზე** მეტ ობიექტზე განხორციელდა მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების გადამოწმება და შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა, ასევე უსაფრთხოების ნორმების შესრულების ზედამხედველობა.
- გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა **45** ობიექტი.
- ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა **31** ობიექტი;
- კონსულტაცია გაეწია **150-ზე** მეტ მოქალაქეს.
- სამსახურის სპეციალისტების მიერ განხორციელდა **90-ზე** მეტი მივლინება.
- დაჯარიმებული ობიექტების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილ იქნა **173 900** ლარი

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვებისა და ზედამხედველობის სამმართველოს სტატისტიკა

მშენებლობის ნებართვების რაოდენობა 2012-2020 წ.



მშენებლობის მოსაკრებელი 2012-2020 წ.



სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვებისა და ზედამხედველობის სამმართველოს სტატისტიკა

საჯარიმო თანხა შეტანილი ბიუჯეტში 2012-2020 წ.





სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

განსაკუთრებული მნიშნველობის ობიექტების მშენებლობის ნებართვებისა და ზედამხედველობის სამმართველოს 2021 წლის განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სააგენტოს მიერ შეთანხმებული ობიექტების გეგმიური გადამოწმება, მთელი ქვეყნის მასშტაბით.
- ✓ უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით ობიექტების მონიტორინგი.
- ✓ უნებართვოდ მიმდინარე ან/და ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების გამოვლენა და კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება;
- ✓ გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე დასრულებული და მიმდინარე მშენებლობებების პასპორტიზაცია (აღწერა);
- ✓ სამმართველოს სპეციალისტების გადამზადება.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ზედამხედველობის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები

- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება
- დადგენილი პერიოდულობის გარდა, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ტექნიკური ინსპექტირების განხორციელება.
- საზედამხედველო ობიექტებზე დოკუმენტური კონტროლის განხორციელება;
- სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი.
- საზედამხედველო ობიექტზე არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და შეუსაბამობის გამოსწორების ვადის დაცვის კონტროლი;

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ზედამხედველობის სამმართველოს სტატისტიკა

- გაცემულ იქნა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების **31** ნებართვა;
- სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის მოსაკრებელმა შეადგინა 1240 ლარი
- შემოწმებულ იქნა 293 მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი; შემოწმებული ობიექტებიდან დაჯარიმდა 160 ობიექტი 340050 ლარის საერთო ოდენობით.
- დოკუმენტური კონტროლი განხორციელდა 1272 მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტზე;
- შემოწმდა სამოქალაქო დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღით ვაჭრობისა და შეკეთებისათვის განკუთვნილი 17 შენობა-ნაგებობა;
- მე-4 კლასის და განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის განხილვაში მონაწილეობის მიღება - 68 ობიექტი;

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ზედამხედველობის სამმართველოს სტატისტიკა





სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ზედამხედველობის სამმართველოს სტატისტიკა

ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვები 2014-2020 წ.



სანებართვო მოსაკრებელი 2014-2020 წ.

დაჩქარებული მომსახურების გადასახადმა შეადგინა 11250 ლარი

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ზედამხედველობის სამმართველოს სამომავლო გეგმები

- ✓ განხორციელდება სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემა შემოსული განაცხადებების შესაბამისად;
- ✓ საჭიროებისამებრ განხორციელდება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების არაგეგმიური ტექნიკური ინსპექტირება;
- ✓ დოკუმენტური კონტროლი განხორციელდება დაახლოებით 1300 მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტზე.
- ✓ შესაბამისი სტრუქტურების მოთხოვნისამებრ შემოწმდება სამოქალაქო დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღით ვაჭრობისა და შეკეთებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა.
- ✓ მთავრობის N255-ე დადგენილების შესაბამისად ჩაერთვება სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციის განხილვაში, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო;
- ✓ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების დაცვის მიმართულებით სამმართველოს თანამშრომლების მიერ ინსპექტირებები ჩატარდება.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები

- სააგენტოში შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაცია და მართვა, საარქივო საქმის წარმოება;
- სააგენტოს უფროსის მიერ ხელმოწერილი ბრძანებების სათანადო რეგისტრაცია და შენახვა;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;
- კადრებთან დაკავშირებული საკითხების მართვა;
- საფინანსო-ეკონომიკური და ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია;
- სააგენტოს კომპიუტერული ქსელისა და ტექნიკის ადმინისტრირება;
- გეოინფორმაციული სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ინსპექტირების ოქმებში შეუსაბამობების გამოსწორებისათვის მითითებული ვადების დაცვის ერთობლივი კონტროლი შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად;
- ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვის უზრუნველყოფა;
- მასმედიასთან სააგენტოს ურთიერთობის ორგანიზება;
- საგენტოს ვებ-პორტალის მართვა;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვების გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში;

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს სტატისტიკა

- **84** საჯარო ინფორმაცია საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად გაიცა.
- **502** მონაცემი გეოინფორმაციულ სისტემებში არსებული ობიექტების მონაცემთა ბაზებში აისახა და განახლდა.
- **180** ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვაში გატარდა.
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების აღრიცხვაში გატარდა სანებართვო მოწმობები.
- სააგენტოს საიტსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდებოდა.
- მედიასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ სააგენტოს ხელმძღვანელები და წარმომადგენლები. მედიაში შუქდებოდა სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტი 2020

2020 წლის სახელმწიფო ასიგნინების დაზუსტებული გეგმა - 1 445 000 ლარი

	დაზუსტებული	ათვისებული
შრომის ანაზღაურება	1 031 029 ლარი	100 376 ლარი
საქონელი და მომსახურება	385 000 ლარი	348 554 ლარი
სოც. უზრუნველყოფა	13 971 ლარი	13 971 ლარი
სხვა ხარჯები	10 000 ლარი	4 191 ლარი
არაფინანსური აქტივების ზრდა	5 000 ლარი	3 150 ლარი
სულ	**1 445 000 ლარი**	**1 370 242 ლარი**

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 2020

სააგენტოს მიერ 2020 წელს გაწეული ეკონომიკური საქმიანობის შემოსავლები	27 970 ლარი
ათვისებული	7 007 ლარი
საქ. და მომსახურების მუხლიდან	6 401 ლარი
სხვა ხარჯების მუხლიდან	106 ლარი
არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან	500 ლარი
ნაშთი წლის ბოლოს	87 706 ლარი

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს სამომავლო გეგმები

- ✓ სააგენტოში თანამშრომელთა შეფასების სისტემის დანერგვა;
- ✓ სააგენტოში ნებართვების გაცემისა და ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის დანერგვა;
- ✓ სააგენტოს გეოინფრომაციულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე ონლაინ რუკის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა მოქალაქისთვის;
- ✓ სამმართველოს სპეციალისტების გადამზადება;

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები

- სააგენტოს ძირითადი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- კომპეტენციის ფარგლებში სხვა სამართლებრივი პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების ანალიზი;
- სააგენტოს წარმომადგენლობა სამინისტროსა და ყველა ინსტანციის სასამართლოში;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების განხილვის შედეგებზე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;
- სააგენტოს თანამშრომლებისათვის კონსულტაციების გაწევა სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე;
- დარგობრივ სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა საჩივრების, განცხადებების განხილვაში მონაწილეობის მიღება მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.